

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი

2022 წლის 10 ივნისს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია.

ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ბესიკ ფარცვანია, გონერ კვარაცხელია, ირაკლი სალია, ომარ ქარდავა; ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი დარსალია. მერიის წარმომადგენლები, ილია სალია და დავით სოსელია.

დაწყების დრო: 12:00-სთ.

დასრულების დრო: 12:15-სთ

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: ბაჩანა ქანთარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

2. სხვადასხვა


სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ წამოაყენა შემდეგი წინადადება, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, ზუსტად გაიწეროს ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი, რადგან ხშირად აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია შენიშვნები. ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯები პირდაპირ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე ირიცხება და არანაირი ხელშეკრულება არ იდება, ამიტომაც აუცილებელია ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების გათვალისწინებით.

შენიშვნის გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა (ხმათა უმრავლესობით-5 ხმა) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 12¹⁵ სთ-ზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



/ ბაჩანა ქანთარია/